პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ყოველდღიური

ს. კ. კ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. სჯ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. სამ.
წაპის ორგანო

№ 289 შაბათი, 15 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცეგით. № 289

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პრსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცეგით ნომპარელის სტრიქონი. სამკლოვიანი განცხადება 4 მან. ჩერვონცეგით.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

საფრანგეთის დეპუტატთა პალატა შეუდგა ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭების საკითხის გარჩევას.

იაპონიაში მომხდარ მიწის ძვრის შემდეგ ტოკიოს ცცხვრებთა რიცხვი შემცირდა 50 პროცენტით.

ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ ერზერუმში დასავლეთ-ანატოლიისა და ევროპა-დასავლეთ-პოლონეთის საკავშირო ხელშეკრულებაზე ბიბლიოთეკა

დგოვში (პოლონეთი) პოლიციამ გარეკა მიტინგი, რომელზედაც სალაპარაკოდ უნდა გამოსულიყვნენ კომუნისტები.

ინგლისში უმუშევართა რიცხვი უდრის ერთ მილიონ ორას ათას კაცს.

რად

შაბათს, 15 დეკემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის შენობაში დანიშნულია **ცენტრალურ კომიტეტის**

გაფართოებული პლენუმი

სამუშაო და საოლქო კომიტეტების პასუხისმგებელ მდივნებთან ერთად. ცენტრალურ კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ცენტრ. კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

საქ. საბჭოთა ყრილოგისათვის

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა სახელოვანის მეოთხე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება: ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. **სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.**
3. **ხაკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.**
4. **საქართველოს მეურნეობის უმაღლეს სახბჭოს მოხსენება.**
5. **საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.**
6. **მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.**
7. **მოხსენება მაზრების რაიონებად დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების განმარტოვების შესახებ.**
8. **მოხსენება ქართული დაშკის შესახებ.**
9. **განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.**
10. ხ. ხ. ცაკის არჩევნები.
11. ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

საქარ. ცაკის მდივანი **პ. საბაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის რწმუნებულთა მეორე

ყრილოგა

დანიშნულია

ამა 1923 წლის 25 დეკემბრისათვის ქ. ტფილისში.

ერილობა განიხილავს გამგეობის მოხსენებას, მის წარსული მუშაობის და მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ და მოახდენს მმართველი ორგანოების არჩევნებს. დაწვრილებითი დღის წესრიგი გამოქვეყნებული იქნება ახლო მომავალში.

780—2—1 **ცენტრალური გამგეობა**

სონს და პარტიის ყველა ცენტრალურ ბიუროებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ შეუდგენენ ფინანსიურ და სხვა საჭირო ზომების მიღებას და მზადებას ახალ საერთო არჩევნებისათვის, რომლებსაც არაჩვეულებრივი მნიშვნელობა ექნება მუშათა პარტიის ისტორიაში.

მუშათა პარტიის რეზოლიუციის გამო.

ლონდონი. 14 დეკ. ოფიციალურად გამოქვეყნებულია შემდეგი: „მუშათა პარტიის დადგენილებათა გამო გამოთქმულია აზრი, რომ რომელიმე პარტიასთან თანამშრომლობის გარეშე მუშათა პარტიის კაბინეტის შედგენა შეუძლებელი იქნება, რადგან მუშათა პარტიას არ შეუძლია კონსერვატორების დამარცხება.

ლონდონი. 14 დეკ. მუშათა პარტიის აღმასკომის დადგენილების მხარი დაუჭირა ტრედიუნიონების დიდმა კონგრესმა. ამასთანავე გამოტანილი იყო რეზოლიუცია: პირველი სრულ ნდობას უცხადებს მუშათა პარტიის ლიდერს მაკდონალდს, მეორე—წინადადებას აძლევს მთავრობას დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს თავისი გეგმები უმუშევართა საკითხის გადასაჭრელად.

არჩევნების გამოძახილი

მუშათა პარტიის კანდიდატის შესაძლებელი შედეგები.

ბერლინი. 14 დეკემბერი. „დეილი გრაფიკი“ აქვეყნებს მუშათა პარტიის კანდიტის შესაძლებელ შემადგენლობის სიას: **პრემიერად რამზეი მაკდონალდი, ხაზინის კანცლერად—ნოოდენი, ლორდ კანცლერი—გოლდენი, გარეშე საქმეთა მინისტრად—არტურ პონსანბი.**

მთავრობის მდგომარეობა.

პარიზი. 13 დეკემბერი. საფრანგეთის პრესის აზრით ბალდვინის მთავრობამ დაჰკარგა მტკიცე ნიადაგი, მაგრამ კმაყოფილებას გამოსთქვამს მით, რომ იგი დროებით დარჩა და რომ ძალაუფლება არ გადავიდა საფრანგეთისადმი მტრულათ განწყობილ მუშათა პარტიაზე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამერიკა.

საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

ნიუ-იორკი. 14 დეკემბერი სენატორმა ბორამ შეიტანა სენატში შემდეგი რეზოლიუციათ: **„სენატი საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს კეთილგანწყობილად უცქერის“.**

ბორამ წინადადება მისცა სენატს ეცნო იყარა ამ რეზოლიუციისათვის არა ეხლავ, არამედ ცოტა ხნის შემდეგ. ბორამ გამოსთქვა რწმენა, რომ საბჭოთა მთავრობა დაკმაყოფილდება ჯულიჯის დეკლარაციით და განაცხადებს თანხმობას განიხილოს ამერიკის პირობები.

ჩეხო-სლოვაკია

ჩეხო-სლოვაკია და საკავშირო რეს-პუბლიკა.

ბერლინი. 14 დეკემბერი. პრაგიდან მიღებული ცნობებით, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩეხო-სლოვაკიის ფირმებს შეუკვეთა 50 მილიონ კრონის საოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელიც დაურიგდება საკავშირო რეს-პუბლიკის მოახალშენეებს. ჩეხოსლოვაკია საბჭოთა მთავრობას უსარგებლოდ აძლევს სესხს 5 წლის ვადით.

პოლონეთის ამბები

მუშათა მეტიზნი ლვოვში.

ვარშავა. 13 დეკემბერი. **ლვოვში პოლიციამ დაშალა მუშათა მიტინგი, რომელზედაც უნდა გამოსულიყვნენ კომუნისტ-დეპუტატები** კრულიკოვსკი და პანუულკი. დაპატიმრებულია რამდენიმე მუშა.

უკრაინელ დეპუტატების დევნა.

ვარშავა. 13 დეკემბერი. 9 დეკემბერს ლვოვის პოლიცია შეესია უკრაინელ გაზეთის „ზემლია ი ვოლია“-ს რედაქციას, სადაც გაშაორული იყო უკრაინის სოციალ-დემოკრატიის პარტიულ საბჭოს სხდომა. **ხელმის 3 დეპუტატის პროტესტის მიუხედავად, პოლიციამ არავინ არ გამოუშვა რედაქციიდან, სანამ ყველანი არ გაჩხრიკა.** უკრაინის დეპუტატებმა პროტესტი შეიტანეს ამის გამო სეიმში.

სახელმწიფო ვალი.

ვარშავა. 13 დეკემბერი. ნოემბრის განმავლობაში პოლონეთის სახელმწიფო ვალი გაორკეცდა, ხოლო ფულის ნიშანთა რაოდენობა 2 ნახევარჯერ გადიდდა.

სხვადასხვა

მექსიკა.

აუჯანყება ფართოვდება.

ბუენოსი. 13 დეკემბ. ვერა-კრუციდან იტყობინებიან, რომ ტამპიკოს გარნიზონის მეამბოხეებთან შეერთების შემდეგ უკანასკნელების ხელში გადავიდა მექსიკის ყურეს ყველა ხანაპიროები.

ავსტრია.

გაფიცვა ფართოვდება.

ბერლინი. 13 დეკემბ. ავსტრიაში გრძელდება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა. ვენის ხელისუფლების ცდა კავშირი დაამყაროს პროვინციასთან უშედეგოთ დამთავრდა. რადიო-სადგურები შეუერთდენ გაფიცვას, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ამ დღეებში გავრცელდება სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებზედაც.

შეერთებული შტატები.

პინკერტონის სიკვდილი.

ბერლინი. 13 დეკემბ. ლოს-ანხელოსში (კალიფორნიაში) გარდაიცვალა დაბადებიდან 78 წლის, ცნობილი „სიშჩიკი“ პინკერტონი, დეფექტიურ მეცნიერებათა შესწავლის ინსტიტუტის „პინკერტონის საგენტოს“ დამაარსებელის შვილი.

ესპანეთი.

საარჩევნო რეფორმა.

პარიზი. 13 დეკემბ. დე-რიერას განზრახვა აქვს „გაატარონ“ საარჩევნო რეფორმა პროპორციონალურ არჩევნების საფუძველზე. ის მიმართავს არმიას მოწოდებით დახმარება გაუწიოს მას განზრახულ რეფორმის გატარების საქმეში.

პორტუგალია

პორტუგალიის ფაშისტები.

პარიზი. 13 დეკემბერი. ლისაბონში ფაშისტები შეეცადენ სახელმწიფოებრივ გადატრიალების მოხდენას და ეროვნით დიკავეს რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენცია, მაგრამ ჩქარა იქნენ განდევნილნი.

ამერიკა.

საფრანგეთის ვალი ამერიკაში.

ნიუ-იორკი. 13 დეკემბერი. სენატორ ბორას შეკითხვის სპასუხოთ ამერიკაში ალებულ საფრანგეთის ვალის რაოდენობის შესახებ, ფინანსთა დეპარტამენტის სტატს-სეკრეტარმა განაცხადა, რომ **საფრანგეთის ვალი უდრის 3 მილიარდ 990 მილიონ დოლარს.**

ციფრელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სახალხო მეურნეობის პერსპექტივები

მოსკოვი. 13დეკემბერი. მოსკოვის ერთ-ერთ კლუბში ამხ. რიკოვმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ: „ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—საფუძველი ჩაუყარა მრეწველობის განვითარებას. მიმდინარე 1923 წლის განმავლობაში მრეწველობა ძლიერ განვითარდა, პროდუქცია გაიზარდა 2.304 მილ. მანეთამდე, მაშინ როდესაც 1922 წელს იგი შეადგენდა 1.758 მილ. მანეთს. მრეწველობის ზრდა გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით სწარმოებს, ვიდრე სასოფლო მეურნეობის ზრდა ტ სახელმწიფო მრეწველობა გაცილებით უფრო სწრაფათ ვითარდება, ვიდრე წვრილი და შინა მრეწველობა. მაგრამ, მიუხედავათ სახელმწიფო მრეწველობის ამ წარმატებისა, ჯერ ლაპარაკიც შეუძლებელია მსხვილი მრეწველობის დიქტატურაზე ჩვენი ქვეყნის მეურნეობაში.

საფინანსო პოლიტიკის სფეროში, ჩერვონეცი—დიდი მიღწევაა. უაბლოეს მომავლის ძირითადი ამოცანა არის საბჭოთა ნიშნების სრული მოსპობა და ნატურალურ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაცვლათ ფულის გადასახადის შემოღება.

პენსიები პროფესორებისათვის.

მოსკოვი. 14 დეკემბერი. პროფესიონალურ განათლების მთავარ სამმართველომ წინადადება მისცა ყველა უმაღლეს სასწავლებლებს აღძრან შუამდგომლობა იმ პროფესორებისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ, რომელთაც შეუსრულდათ დაბადებიდან 60 წელი. პენსიის რაოდენობა განისაზღვრება სათანადო ხარისხის სატარიფო განაკვეთის მიხედვით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

გორის მაზრის სახბ. მეორე ყრილობის მიესალმებანი

საქართველოს კომპარტიის ცეკას.

გორის მაზრის მუშათა და გლეხთა საბჭოთა მეორე ყრილობა მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, მეთაურს იმ პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა მთავრობას და რომელიც იცავს მშრომელთა ყოველგვარ ინტერესებს.

საქართველოს ცენტრალურ აღმასკომს.

გორის მაზრის მუშათა და გლეხთა საბჭოთა მეორე ყრილობა მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, იმ ორგანოს, რომელიც ყოველმხრივ იცავს მშრომელთა ინტერესებს.

მშრომელი მასსა საბჭოთა მთავრობასთან არის.

ამიერ კავკასიის ცაკ.

გორის მაზრის მუშათა და გლეხთა მეორე საბჭოთა ყრილობა მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, იმ ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა მთავრობას და რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. შალვა ელიავას.

გორის მაზრის მუშათა და გლეხთა მეორე ყრილობა მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს მშრომელთა ინტერესების დამცველ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

აზერბაიჯანი

ნავთის ფრონტზე

ბაქო. 13 დეკემ. 9 დეკემბერს ბაქოს ყველა სამრეწველოებზე ამოღებული იყო 676.000 ფ. ნავთი. გამოსახდელად მიეგზავნა 304,000 ფ. გამოხდილი დაბრუნდა 299.000 ფ ბურღვაზე მუშაობდა 181 დაზგა. ჩაიბურღა 82 საჭუნი.

ნავთი იტალიისათვის.

ბაქო, 13 დეკემბერი. აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს რომიდან დეპეშით შეეკითხნენ, შეუძლიან თუ არა დეკემბერ—იანვრის განმავლობაში მიაწოდოს მათ 5000 ტონა დაუმუშავებელი ნავთი.

მეტყეობის სკოლა.

ბაქო, 13 დეკემბერი. აზერბაიჯანის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აზერბაიჯანის მაწათმოქმედების კომისარიატს გადასცა 1200 ჩერვონის მანათი აზერბაიჯანის მეტყეობის სკოლის საჭიროებისათვის.

ნავთსხნობის შედეგები.

ბაქო. 12 დეკემბერი. ნავთის მზიდველი ფლოტის ნაოსნობამ 1923 წ. განმავლობაში 1773 მგზავრობა გააკეთა. გზიდულია 179 440,160 ფუთი ნავთის ნაწარმოები. 1922 წელს თუმცა 1849 მგზავრობა იყო, მაგრამ მხოლოდ 172.202.793 ფუთი იყო გზიდული. მიმდინარე წლის განმავლობაში რეიდის ნავტიკებით, 21 მგზავრობაზე, გატანილი იყო რა კუშადან 2.674.000 ფუთი. 1923 წ. სულ გზიდულია 182,099.314 ფუთი ნავთის ნაწარმოები.

პარტიული ცხოვრება

შეცდომის გასწორება

ამხ. სტალინის მოხსენება პარტიის ამოცანების შესახებ, რომელიც ჩვენ დავბეჭდეთ გუშინ, გაკეთებული იყო წითელი პრესნის რაიონში მოსკოვში და არა პეტროგრადში, როგორც ეს შეცდომით იყო მოთავსებული გაზეთში.

პარტიის შიგნი

(ამხ. ბ. ზინოვიევის **ფურილის გამო.**)

(დასასრული*)

პარტიას სჭირია ცოცხალი, მოძრავი, საკუთარი თავით მოაზროვნე, საკუთარი შეხედულებების მქონე მედგარი წევრები, რომელთაც ეცოდინებათ—რა არის პარტია, რა უნდა მას და რა საშუალება—გზების გამონახვაა საჭირო მისი მიზნის მისაღწევათ, რომელსაც ეცოდინება, რომ **უსათუოდ „დასაქმების“** კი არ უნდა **დაუცადოს,** არამედ როგორც პარტიის წევრი, ამ პარტიის ინტერესებიდან გამოსული, **თითონვე უნდა იცოდეს რა უნდა, რა ესაჭიროება პარტიას და რა ნახიჯის გადადგმაა საჭირო მისთვის.**

მთელი ცხოვრება **ამხ. ლენინისა,**—ჩვენი კომუნისტური პარტიის საფუძველის ჩამყრელისა—განა ამას არ გვასწავლის, ამას არ გვეუბნება?... ლენინი ერთათ ერთი იცავდა **მეორე ყრილობის** პარტიულ დადგენილებებს, პარტიულ დირექტივებს. როცა ამ დადგენილებებს ცენტრალურ ორგანოში გადაუდგენ ლენინის ამხანაგები, უარყვეს, შელახეს პარტიის ნება-სურვილი და მოსთხოვეს, პირიქით, ლენინს, მასაც მიეგება მათთვის, გაჰყოლოდა მათ გზას. ლენინმა ეს არ ისურვა როგორც პარტიის წევრმა, როგორც პარტიის ერთ ერთმა პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა. მან აქ გამოიჩინა თავისი **დამოუკიდებლობა,** თავისი **საკუთარი აზრი,** თავისი მტკიცე **ფოლადის** **ხასიათი** ყრილობის დადგენილების გასატარებლათ.

ლენინი არ მიემხრო მათ.

ამხ. ლენინმა დაიცვა პარტიული დისციპლინა, ლენინმა შეასრულა ყრილობის დავალება.

ყველა დანარჩენმა კი დაარღვიეს პარტიის დისციპლინა, შელახეს პარტიის ინტერესები.

აი როგორ ესმოდა ლენინს **პარტიის წევრობა;** აი როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენც პარტიის წევრობა და მისი **დისციპლინა.**

ესმისთ კი ეხლა პარტიის წევრთ პარტიული დისციპლინა პარტიაში ასე? ხელმძღვანელი ორგანიზაცია და მისი წევრები უწყობენ კი ხელს პარტიის წევრთ, **რომ** მათ ასე გაიგონ პარტიის წევრობა?

...ორგანიზაციის ხელმძღვანელ ამხანაგებს თავიდანვე შეუშუშავდათ ასეთი პარტიული მორალი:—„ვინც ჩვენ არგ ვეთანხმება, იგი ხრწნილ პარტიის; ვინც ჩვენ სურვილ-განკარგულებებს ყველა ეკონომიური პოლიტიკის სახით. რაში მდგომარეობს ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსი?—საბჭოთა ქალაქის კავშირში საბჭოთა სოფელთან, პროლეტარიატის კავშირში გლეხობასთან, მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის კავშირში წვრილ კერძო გლეხის მეურნეობასთან.

„უნდა ვიცოდეთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი, გადამწყვეტი, **სხვა ყველაფრის დამმორჩილებელი** ამოცანა ეს არის: კავშირის დამყარება იმ ახალ ეკონომიკასა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, ტ იმ გლეხურ ეკონომიკას შორის, რომლის პირობებში ცხოვრობენ მილიონი გლეხები. ასეთი კავშირი არ იყო და ის პირველყოვლისა უნდა შეიქმნას. **ამ მოსაზრებას უნდა დაემორჩილოს ყველაფერი.** ჩვენი მიზანია... კავშირის აღდგენა... გლეხობისათვის იმის დამტკიცება, რომ ჩვენ ვიცით დახმარება, რომ კომუნიზმი საქმით ეხმარება გაღარიბებულ, გაღატაკებულ გლეხობას გაჭირვეების დროს. ჩვენ ან დავამტკიცებთ ამას, ან ჯანდაბაში გაგვგზავნიან. გლეხობა ჩვენ კრედიტს ვავალებ, მაგრამ ეს კრედიტი არ უნდა იყოს დაუშრეტელი. უნდა ვიცოდეთ, რომ ახლოვდება დრო, როცა გლეხური ქვეყანა მომავალში ჩვენ კრედიტს არ მოგვცემს, როცა ის, თუ შეიძლება ვიხმაროთ ეს კომერციული ტერმინი, ანგარიშის ნაღდზე გასწორებას მოგვთხოვს. აი რა გამოცდა გვიახლოვდება ჩვენ და ის, ეს გამოცდა, ყველაფერს გადასჭრის საბოლოო ანგარიშით: ახალი ეკონომიური პოლიტიკის და კომუნისტური ხელისუფლების ბედსაც რუსეთში“ (ნ. ლენინი, მოხსენება რ. კ. პ. მეთერთმეტე ყრილობაზე). ახალი ეკონომიური პოლიტიკა იყო და არის სამეურნეო კავშირის ხელშეკრულება პროლეტარიატსა და გლეხობას შორის.

რას წარმოადგენენ ლენინის 1923 წლის წერილების მთავარი აზრები, რომლებიც პოლიტიკურ რჩევა-დარიგებას წარმოადგენდენ ჩვენი პარტიისათვის მეთორმეტე ყრილობისათვის? აქ ბოლშევიზმის ცენტრალური პოლიტიკური იდეა იღებს საბჭოთა „კულტურულობის“ ფორმას.

„ჩვენს წინაშე დგება ორი მთავარი ამოცანა, რომლებიც ეპოქას ქმნიან. ეს არის ჩვენი აპარატის გადაკეთების ამოცანა, რომელიც არაფრათ არ ვარგა. მეორე ამოცანა მდგომარეობს კულტურულ მუშაობაში გლეხობისათვის“ (ლენინი, კოოპერაციის შესახებ გვ. 11.)

„ჩვენ არ გვყოფნის ცივილიზაცია იმისათვის, რომ გადავიდეთ უშუალოდ სოციალიზმში, თუმცა ჩვენ ამისათვის გვაქვს პოლიტიკური წინასწარი პირობები. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ისეთი ტაქტიკა, ანდა მივიღოთ შემდეგი პოლიტიკა ჩვენს გადასარჩენად: ჩვენ უნდა ავაშენოთ სახელმწიფო, რომელშიაც მუშები შეინარჩუნებენ ხელმძღვანელობას გლეხობაზე, გლეხობის ნდობას თავის მიმართ... ჩვენს სახელმწიფო აპარატში ჩვენ მაქსიმალური ეკონომია უნდა დავიცვათ, ხომ არ იქნება ეს გლეხური შეზღუდულობის ბატონობა? არა. თუ ჩვენ შევინარჩუნებთ პროლეტარიატისათვის ხელმძღვანელობას გლეხობაზე, მაშინ ჩვენ მივიღებთ შესაძლებლობას ჩვენს სახელმწიფოში მეურნეობის უდიდესი და უდიდესი ეკონომიის საშვალებით მივიღწიოთ იმას, რომ თუგინდ მცირედი მომჭირნეობა გამოვიყენოთ ჩვენი მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის, ელექტროფიკაციის გაძლიერებისათვის.

ამაში და მხოლოდ ამაში იქნება ჩვენი იმედი. მხოლოდ მაშინ შეგვძლებთ გლეხური, გაძვალტყავებული ცხენის შეცვლას მსხვილი ინდუსტრიის ცხენზე. აი როგორ ვაკავშირებ მე ჩემს აზროვნებაში ჩვენი მუშაობის, ჩვენი პოლიტიკის, ჩვენი სტრატეგიის, ჩვენი ტაქტიკის საერთო გეგმას“. (ნ. ლენინი. „უმჯობესია ნაკლები და უკეთესი“).

საბჭოთა „კულტურულობა“ ეს არის პროლეტარიატის და გლეხობის **კულტურულ შეტევითი** კავშირის ხელშეკრულება ჩვენი მშრომელი მასების ჩამორჩენილი სიღარიბის და ყოველგვარი უვიცობის წინააღმდეგ. ეს შეუძლებელია მთელი კულტურული რევოლიუციის გარეშე. ლენინის 1923 წ. წერილები წარმოადგენენ ოქტომბრის რევოლიუციის საუკეთესო რევოლიუციონურ - კრიტიკულ შეფასებას, წარსული საზღვრებისა და მომავლის ჰორიზონტების სასტიკ და მკაცრ ახაზვას, იმ მომავლის, რომელიც თვალსწუდენელ საბჭოთა კავშირში დაწყებული კულტურული რევოლიუციის ეტაპს წარმოადგენს.

ს. ნოვიკოვი.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „კომუნისტი“ № 288.

დადგენილება ს. კ. პ. ცეკას პარტიის (ბოლშ.) კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისიის) განყოფილების შესახებ

1. ცენტრალურ კომიტეტის პარტიის განყოფილების ამოცანებს შეადგენს კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიისათვის მასალების მოგროვება—შესწავლა ცეკას მოქმედების ტერიტორიის მიხედვით, აგრეთვე შესწავლა ცენტრალურ კომიტეტის პარტორგანიზაციების ისტორიისა.

2. ამ ამოცანის სისრულეში მოსაყვანად ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის განყოფილება სდგამს შემდეგ ნაბიჯს:

ა) ცენტრალური კომიტეტის სამოქმედო რაიონში კრებს—კომპარტიისა და რევოლიუციის შესახებ დაბეჭდილ თუ ხელნაწერ არალეგალურ მასალებს, მემუარებს, რევოლიუციონერთა დღიურებს და სხვა ყოველგვარ ამ ხასიათის დოკუმენტებს; ამუშავებს აგრეთვე მოგროვილ მასალებს, სისტემაში მოჰყავს იგი, აძლევს მას გარკვეულ საისტორიო მისალის სახეს, ავალებს რევოლიუციის ძველ პიონერთ რევოლიუციის ისტორიიდან ცალკე, მაგ. ამ მთლიანი ხასიათის ეპიზოდების დაწერას.

ბ) ჩამოთვლილ მასალების შესანახათ და სარგებლობისათვის აარსებს ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, აწყობს გამოფენებს, აგრეთვე მონაწილეობას ღებულობს ცენტრალურ საისტორიო სარევოლიუციო არქივის მოწყობის საქმეში.

გ) აქვეყნებს თავის შრომებს ცენტრალურ ორგანოში—პარტისის ისტორიულ ჟურნალში, აგრეთვე სცემს ბიოგრაფიებს, მოგონებებს, ისტორიულ წერილებს, ისტორიულ გამოკვლევებს და სხვა ყოველგვარ გადამუშავებულ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებთ ცალკე წიგნაკების სახით.

დ) იწვევს საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის თეორიულათ შესწავლის მიზნით რევოლიუციონური წარსულის მცოდნე პირთა ყრილობებს, მართავს საერთო სპეციალურ კრებებს, საჯარო ლექციებს, მოგონებათა საღამოებს, აარსებს ისტორიის შესასწავლ წრეებს, აახლოვებს, აკავშირებს მუშათა მოძრაობის ვეტერანებს და სხვა.

3. ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის პარტისის განყოფილება იმუშავებს საერთო გეგმებს კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის შესასწავლათ, აძლევს დირექტივებს მაზრკომების და ოლქკომების პარტისის ბიუროებს, ადგენს მათთვის ინსტრუქციებს, პროგრამებს და სხვა.

4. **პარტისის განყოფილების** შეამბას ხელმძღვანელობს **პარტიის** განყოფილების გამგე—კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისიის (პარტისის) პასუხისმგებელი მდივანი.

5. ცენტრალურ პარტისის განყოფილება ანგარიშს უდგენს ორ თვეში ერთხელ თავისი მუშაობის შესახებ ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს; უგზავნის აგრეთვე სრულ ანგარიშს მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ რ. კ. პ. ცეკასთან არსებულ პარტისის განყოფილებას.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისიის მდივანი ხ. თალაკვაძე.

სალამი ულანადელის კომუჯრედს

ამ ერთი წლის წინათ ტფილისის წყალსადენთან დაარსდა კომუჯრედიმ, რომელმაც გამოაფხიზლა მუშები და გაფანტა მენშევიკთა მიერ დაყენებული ბურუსი. აქაურმა მუშებმაც დაინახეს რომ მათი ინტერესების ერთად-ერთი დამცველი კომუნისტური პარტიაა, ზურგი აქციეს მენშევიზმს, და შეუერთდნენ კომუნიზმისთვის მებრძოლთა საერთაშორისო ოჯახს. ყოველივე ამაში დიდი როლი ითამაშა წყალსადენის კომუჯრედმა, რომლის არსებობის ერთი წლის თავზე მხურვალეთ ვესალმებით მას.

უპარტიო.

ELIB.NPLG.GE

ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიული კურსი

(**დისკუსიის გამო პარტიის ახალი ამოცანების შესახებ**)

I

პარტიის ახალი ამოცანები, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, „ძველი“ ძირითადი ამოცანების ახალი დაყენება, კიდევ-და-კიდევ მიაქცევს ჯერ პარტიის ყურადღებას ბოლშევიზმის „ძველ“ და ამავე დროს მუდამ ახალ დედა-აზრისაკენ.

რა არის ბოლშევიზმი? ამ კითხვაზე უპასუხებს ამხ. ზინოვიევი თავისი თხზულებების პირველი და მეორე ტომის წინასიტყვაობაში. წინასიტყვაობა დაწერილია 1923 წლის ოქტომბერს, ესე იგი ერთი თვით ადრე „პარტიის ახალი ამოცანების შესახებ“ წერილის გამოქვეყნებამდე, რომელმაც ასეთი ყურადღება მიიპყრო. **უკანასკნელი** წერილიდან ამონაწერები მოჰყავთ დაუსრულებლათ პრესაში და კრებებზე. ჩვენ გვგონია, რომ წინასიტყვაობა (რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „პრავდა“-ს № 272-ში სათაურით „რა არის ბოლშევიზმი“), სხვითაშორის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს პარტიის ახალი ამოცანების შესახებ დაწყებულ დისკუსიისათვისაც. მრავალი შეცდომები, გადაჭარბება, ერთის მხრით არაჩვეულებრივი გაბერვა საკითხის შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ და მეორე მხრით **მთავარი საკითხის**—პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირის—დავიწყება,—ყველა ეს ნაკლულევანებანი აცილებული იქნებოდენ, რომ ყველა ამხანაგების ფიქრი პარტიის **ახალი** ამოცანების შესახებ მოთავსებული ყოფილიყო დიდ ისტორიულ და თეორეტიული პერსპექტივის ჩარჩოებში—რა არის ბოლშევიზმი ამა თუ იმ ისტორიულ მომენტში? რაში მდგომარეობს ბოლშევიზმის არსი, რომელიც წითელი ზოლით არის გატარებული მთელ მის ისტორიაში 1903 წლიდან 1923 წლამდი, როცა ჩვენ ასე გაიფთრებულ დავას ვაწარმოებთ პარტიის ახალი ამოცანების შესახებ?

რა სთქვა ახალ ბოლშევიზმმა პოლიტიკური იდეოლოგიის სფეროში? რა ახალი გზები უჩვენა ბოლშევიზმმა საერთაშორისო სოციალიზმს? რაში მდგომარეობენ ლენინის აღმოჩენები?

1. ბოლშევიზმმა პირველათ მსოფლიო კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში მიიღო სერიოზულათ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა და პრაქტიკულ რელსებზე დააყენა ის, რაც მარქსმა და ენგელსმა განკვრიტეს მხოლოდ თეორეტიულად

2. სწორეთ იმიტომ, რომ ბოლშევიზმმა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი დააყენა როგორც დღის **პრაქტიკული** ამოცანა, მან პირველმა საერთაშორისო სოციალიზმის ისტორიაში სერიოზულათ დაუწყო **ძებნა მოკავშირეებს** პროლეტარიატისათვის.

3. აქაც ბოლშევიზმის მთავარი დამსახურება—ეს მოკავშირე მან **ითვა გლეხობის** სახით.

4. ამ მნიშვნელობით, შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიზმმა „აღმოაჩინა“ იმ ძალის როლი, მხოლოდ რომლის თავის მხარეზე გადმობრიბების შემდეგ პროლეტარიატისათვის შესაძლებელი ხდება დიდი განმანთავისუფლებელი საქმის შესრულება მსოფლიო რევოლიუციაში.

გლეხობასა და პროლეტარიატს შორის ურთიერთობის შესახებ მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს და შეეძლოთ მოეცათ მხოლოდ საერთო ხასიათის ფორმულები. ამ საერთო ფორმულებისათვის სისხლ - ხორცის შესხმა წილად ხვდა ბოლშევიზმს.

პროლეტარიატის დამოკიდებულება გლეხობისადმი — აი ბოლშევიზმს მთავარი ნერვი. ვისაც სურს გაიგოს ბოლშევიზმი, ვისაც გულწრფელად სურს გახდეს ბოლშევიკი, მან პირველ ყოვლისა უნდა შეისწავლოს ბოლშევიზმი ამ დარგში, მან უნდა გაიგოს, რომ სწორეთ ამით განისაზღვრება ბოლშევიზმის არსი. („ნინოვიევი „რა არის ბოლშევიზმი“, „პრავდა“ № 272).

1905 წლის რევოლიუციის, თებერვლის რევოლიუციის და ოქტომბრის რევოლიუციის განვლილი ეტაპის გამოცდილებამ, ერთი სიტყვით, ჩვენი პარტიის მთელმა გზამ ბოლშევიზმის არსებობის 20 წლის განმავლობაში, გვიჩვენა, რომ ბოლშევიზმის ცენტრალური პოლიტიკური იდეა, მისი არსი, მისი სასიცოცხლო ნერვი მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურის თეორიისა და პრაქტიკაში, პროლეტარიატის ჰეგემონიაში გლეხობასთან დაკავშირებით. ბოლშევიზმის არსი მდგომარეობს **პროლეტარიატის** ისტორიული მისიის აღიარებაში და ცნობაში, პროლეტარიატის ჰეგემონიაში, პირველ როლში, რომელიც უნდა ითამაშოს პროლეტარიატმა გლეხობასთან რევოლიუციონური კავშირის ყველა ეტაპებში. ბოლშევიზმის ეს მთავარი პოლიტიკური იდეა მიიწვევდა წინ, იზრდებოდა, ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა ბოლშევიზმთან, ჩვენ პარტიასთან ერთად 1905—16 წ. წ. როცა პარტიას ეჭირა კურსი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციისაკენ რუსეთში ბოლშევიზმის ცენტრალური პოლიტიკური იდეა გამოხატულებას პოულობდა ძველ-პოლიტიკურ ფორმულაში: პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონური დემოკრატიული დიქტატურა. როგორი იყო მაშინ ბოლშევიზმის ცენტრალური პოლიტიკური იდეის კონკრეტული შინაარსი?

პროლეტარიატმა ბოლომდი უნდა მიიყვანოს დემოკრატიული გადატრიალება. მან უნდა მიიმხროს გლეხობის მასა, რომ ძალით გასრესოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და ხელი შეუშალოს ბურჟუაზიის მერყეობას. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, რომლის დროს უნდა მიიმხროს მოსახლეობის ნახევრად პროლეტარული ელემენტები, რომ ძალით დათრგუნოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და ხელი შეუშალოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობას“ (ორი ტაქტიკა“ § 12, ნ. ლენინის თხზულებები, ტომი VI, გვ. 371).

ამავე აზრებს, მაგრამ იმპერიალისტური ომის პირობებთან შეფარდებით, ანვითარებდა ლენინ

მისასალმებელი სიტყვა ამხ. მიხა ცხაკაიასი

დეკემბერს „სახალხო სახლის“ 30 წლის საიუბილეო კრებაზე

...ანგიმი და პატიოსანო მოქა-
...ნი საბჭოთა ქვეყნისა!
...ლო საბჭოთა კავშირის მთავ-
...ი სახელით, ამიერ-კავკასიის
...ფედერაციისა და განსა-
...ოთ საქართველოს სოციალის-
...ი საბჭოთა რესპუბლიკის მთავ-
...ი მონდობილობით სალამს,
...ი სალამს ვუძღვნი სახალხო
...ს, გულმხურვალე და გულწრ-
...ს ბაკებს და ტფილისის მუშებს,
...ც ამ ოცდაათი წლის განვ-
...ში ასე თუ ისე, ათას ეაბრ-
...ათა და გაჭირვების მიუხედა-
...დღემდე შეარჩინეს ჩვენს **კულ-
...ს ეს მეტად სახარგებლო და
...ი დაწესებულება...**

...ს გულწრფელი სალამი ჩემ-
...ბალხო თეატრის მუშაკნო, ცოცხ-
...ნო, და საუკუნო ხსოვნა მის გარ-
...ლებულ მუშაკთ.

...ი მომეცით ნება, ამხანაგებო
...ტიოსანო მოქალაქენო, ორიო-
...ყვეთ ხაზი გაუსვა კომუნის-
...ვალსაზრისის მიხედვით იმას,
...ნი იყვავთ თქვენ დღემდე და
...ბდი გახდეთ მომავალში, რომ
...ი თქვენი მოღვაწეობა შეიფე-
...ს ჩვენს ახალ მუშურ გლეხურ
...ს წესწყობილებას, რომელსაც
...ი ეგდამს და თავში უდგია კო-
...ტი პარტია.

...ენ—კომუნისტები, მეგობრებო,
...ვართ იმ „მარქსისტ მენშევი-
...ს, რომელნიც როგორც სოციალ-
...ტები გერმანიაში და სხვა-
...—მათ შორის, რასაკვირველია,
...ართველოდან გადაბიზნესი მენ-
...ენები: ფორდანია-ჩხეიძე წერეთ
...ი და მათი ამალა,—დღევანდელ
...ანის კანცლერ-მინისტრის, **მარ-
...ს** უფრო მომხრენი არიან, ვინემ
...ული რევოლიუციონერის, „კო-
...ისტური მანიფესტისა“ და „კაპი-
...ლის“ შემქმნელის და „პირველ ინ-
...ნაციონალის“ ორგანიზატორის
...ული **კარლ მარქსის**, რომლის
...ბის ტარება ასე ფლიდად და
...ბულად მენშევიკებს დღემდეც
...ნახავთ...

...ენ რევოლიუციონური დიალექ-
...ის მეთოდით, ხერხით, გასაღე-
...ი, მიუდგებით ხოლმე ყოველივე
...ლენას, როგორც მუდამ იქცეოდა
...ი **კარლ მარქსი...**

...ამ თვალსაზრისით დღეს თქვენი
...ტორის სახელწოდება **„სახალხო“**
...ენ ბაკ არ მივიღებთ ახალ ში-
...ბარს, ან მივიღებთ ახალ პროგრა-
...ს ან, თქვენ ენაზე რომ ვთქვათ—
...ენ შეიქმნით ახალ **რეპერტუარს**, და
...ი ახალ რევოლიუციონურ ფორმებ-
...ბოლოფუნად არ განვახორციე-
...ენ **„სახალხო“** სახელით სარ-
...ლობენ ყველა მტრები მუშებ-
...ებისა,—როგორც ამერიკის ბურ-
...ა-დემოკრატები, ან ინგლისის
...ოდ-ჯორჯი, ან თუნდაც ნაგეზი
...ლი თანამედროვე იმპერიალიზმი-
...ურანგი პუანკარე... ამათაც შეი-
...ენ ეთქვათ და ამბობენ კიდეც,
...ომ ხალხს სახელით მოქმედებენ
...ს ნიღაბ ქვეშ), ვინაიდან, მათი
...ბრძანთ, მათი წინაპრები ტირანიას-
...ან ებრძოდნი რევოლიუციონერები
...ენენ ერთ დროს წარსულში...

...დღეს ჩვენთვის ეს არ კმარა... ეს
...ეკუთვნოდ დაამტკიცა საქართვე-
...ლის მენშევიკებმა, რომელნიც სხვა
...ბულნის ს. დ.-ებთან ერთად დღეს
...ტრ-რევოლიუციონურ, ფშნდა
...ენ შავ რეაქციის ბანაკში მოე-
...ბენენ, შავ რეაქციას ეხმარებიან და
...ებ.-მეშრომელ ხალხს ულალატეს და
...ბისი სახელითთ ნიღაბ-ქვეშ კი იმა-
...ლებიან.

...ი, მეგობრებო, რა საშიშროებას
...წარმოადგენს მარტო ძველი კარ-
...ი სახელი—დემოკრატიული სა-
...ლობო...

...თქვენ დაიწყეთ ეს საქმე, ეგრედ-
...ოდ **„ავკალის აუდიტორია-
...ბ“**. მე ამ სახლშიც ამ ეაქვ მრა-
...ალჯერ ვყოფილვარ.. მაგრამ, მეგო-
...ბრებო, ნუ გამიწყრებით, არა თქვენი, შეიძლება, შესანიშნავ ხელოვნურ წარმოდგენებზე სულის მოსათმელად, დასასვენებლად და დასატკბობად... არა, ეს მე არც ერთხელ არ მღირსებია... მე ვიყავი იქ და აქ ხილულად და უხილავათ, ე. ი. ლეგალურად და არალეგალურად, სულ სხვა საქმისათვის, საცა სხვა „თეატრს“ ვაწყობდით ჩვენ... და, მგონია, არ წაგიგიათ ამგვარი ჩვენი მოღვაწეობიდან თქვენც, მეგობრებო!

თუნდაც, ამ სახლში! 1917 წლის მიწურულში მე ვიყავი აქ მოწამე დიდი ისტორიული დაცემისა და ღალატის ძველი „რევოლიუციონერების“—მენშევიკ-ფედერალისტ-ესერებისა და დაშნაკ-მუსავათელებისა, როცა პეტროგრადის დიდი ოქტომბრის საპასუხოთ მათ შეეშინეს აქ ეგრედ-წოდებული **„ამერკავკასიის კომისარიატი“**, გამოეკვეს-რა დიდებულ ოქტომბრის რევოლიუციას და დამბოლოებით გაარღვიეს მისი ფრონტი გადავიდენ იმპერიალისტების, კონტრ-რევოლიუციის, შავ რეაქციის ბანაკში...

მე მახსოვს, როგორ ამ ესტრადაზე მათ მე მიმიღეს დიდი ტაშის ქვრითა და ოვაციებით... მე კი ვთხოვე მათ: „დაიცადეთ,—ვნახავ, ამა როგორ გამაცილებთ-თქო“.

ჩვენი პარტიის მონდობილობით მე მათ წაუკითხე ჩვენი განაჩენი,—რომ ჩვენ უკანასკნელად ვხვდებოდით ერთმანეთს საერთო კრებაზე, რომ ჩვენ შორის ამ დღიდან იწყება ფრონტი შეურიგებელი ბრძოლისა და ვნახოთ ბოლოსდაბოლოს, ვინ გაიმარჯვებს...

და სამარესავით ჩუმ კრებიდან გავსწიე ქუჩისაკენ ორიოდე სხვა ამხანაგებთან ერთად ამ მოღალატე კონტრ-ევოლიუციონური ხალიდან, სადაც თავმჯდომარეობდნენ ევგენი გეგეჭკორი, ნოე ჟორდანია და ესერი **დონსკოი** (შემდეგ მოსკოვისა, პეტროგრადის და ურალის კონტრ-რევოლიუციონერი,—დღეს მუშურ-გლეხური მთავრობის ტყვე გოცთან და ესერების სხვა ბელადებთან ერთად).

რასაკვირველია, ისინიც მოქმედებდენ და მაღალ ფრაზებს ისვროდენ მუშებ-გლეხების დასატყუებლად ხალხის სახელით, დემოკრატიის სახელით,—„რევოლიუციონური დემოკრატიის“ სახელით, როგორც მაშინაც უნამეტესოდ ისინი ხმარობდენ ამ სიტყვას, რომ მით ბნელ ბურუსით მოეცვათ მუშურ-გლეხების წინაშე თავიანთი იუდობა...

მე ბევრი და მრავალსიტყვაობით თქვენს საზეიმო საღამოსათვის საჭირო დროს არ წაგართმევთ... მე მინდა მხოლოდ დავსაკვნა, ამხანაგებო და პატიოსანო მოქალაქენო, რომ, როგორც ზემოთ ჩემ-მიერ ორიოდე სიტყვით ნათქმიდან დარწმუნდებოდთ,—რაგვარ საშიშარი და მიუღებელია დღეს ჩვენთვის **მხოლოდ სახელწოდება**—„სახალხო“, „დემოკრატიული“...

ამიტომ მე გისურვებთ თქვენ, კომპარტიისა და მთელი კომინტერნის სახელითი, რომ დროზე შეეგეგოთ ჩვენი დროის, დიდი ეპოქის ეს უეველი მოთხოვნილება... და მისი მოთხოვნილებათადაგვარათ მოგიწყოთ ახლო მომავალში თქვენი მოღვაწეობა ამ „კულტურის ტაძარში“.

მე ვისურვებ, რომ თქვენც ჩვენთან ერთად სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირის სხვა „სახალხო თეატრებთან“ ერთად ინტერნაციონალური და სწორე მოქმედებით ჩქარა გაგეყვანოთ დიდი შარა-გზა კომუნისტური საზოგადოებისაკენ, კომუნიზმისაკენ...

გაუმარჯოს კომუნიზმს!

გაუმარჯოს თქვენს მოღვაწეობას მისკენ გზის გასაკაფავათ.

კიდევ სალამი და გამარჯვება ამ გზაზე ჩვენს მოღვაწეებს,

„სახალხო თეატრის“ მუშაკებს.

(მეტხარე ტაში).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲚᲘᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘᲡᲨᲘ.

(14 დეკემბერი).

ᲠᲝᲜ ᲘᲜᲒᲚᲘ — — —	270,000
ᲒᲠᲔᲚᲘᲜᲒ. ᲔᲤᲘᲪᲘᲢ.	265,000
ᲩᲔᲙᲘᲗᲘ —	265,000
ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲔᲤᲘᲪᲘᲢ. —	62,000
— — ᲩᲔᲙᲘᲗᲘ —	59.000
ᲒᲔᲠᲛ. ᲛᲐᲠᲙᲘ ᲚᲘᲠᲐ	35.000
ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲠᲐ	1900
ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲘ	2850
ᲡᲐᲑᲭ. ᲤᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗᲘ	14

ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲗᲘ.

ᲞᲣᲠᲘ 1 ᲮᲐᲠ.—1250 ᲐᲗ., ᲞᲣᲠᲘ 2 ᲮᲐᲠ.—1 ᲛᲘᲚ., ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ—4,500 ᲐᲗ. ᲩᲮᲘᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ—5200 ᲐᲗ., ᲨᲐᲥᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲜᲓᲐᲜᲘ—13,500 ᲐᲗᲐᲡᲘᲜ, ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲨᲐᲥᲐᲠᲘ—8600 ᲐᲗ. ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲘᲚᲘ—ᲞᲣᲠᲘ ᲐᲗ. ᲑᲠᲘᲜᲯᲘ ᲐᲚᲔᲣ.—2600. ᲐᲗ. ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ—325. ᲐᲗ.

ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ.

ᲞᲣᲠᲘ 1 Ხ.—2000 ᲐᲗ., ᲞᲣᲠᲘ 2 ᲮᲐᲠ.—1.500 ᲐᲗ., ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ 5 ᲛᲘᲚ. ᲩᲮᲘᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ—6 ᲛᲘᲚ., ᲨᲐᲥᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲜᲓᲐᲜᲘ—14 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ., ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲨᲐᲥᲐᲠᲘ—9 ᲛᲘᲚ., ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲘᲚᲘ—1900—4, ᲑᲠᲘᲜᲯᲘ ᲐᲚᲔᲣᲨᲘᲡ—2700—ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ 350—400 ᲐᲗ.

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲕᲚᲔᲑᲐ.

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲣᲠᲘᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲕᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ. ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲗ ᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐᲜᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ ფიზიკა-ცხელების მძიმე № 1—59 მ. 75 კ. ᲠᲔᲠ. ᲤᲣᲗᲨᲘ, № 2—55 მ. 75 კ.; **ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ №**—54 მ.ნ. 75 კ. ᲤᲣᲗᲨᲘ, № 2—50 მ. 75 კაპ ᲤᲣᲗ.: **ᲠᲝᲑᲚᲘ №** 1—52 მ. 25 კ. და № 2—48 მ. 25 კ. ᲤᲣᲗᲨᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲝ-გამყიდველის საწყობი.

ᲩᲔᲠᲕᲝᲜᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲑᲐ

(14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ.)

ᲩᲔᲠᲕ.	ᲑᲝᲜᲘᲗ	ᲩᲔᲠᲕ.	ᲑᲝᲜᲘᲗ.
1 კ.—	270.000,	60 კ.—	16.200.000
2 „—	540.000,	70 „—	18.900.000
3 „—	810.000,	80 „—	21.600.000
4 „—	1.080.000,	90 „—	24.300.000
5 „—	1.350.000,	1 მ.—	27.000.000
6 „—	1.620.000,	2 „—	54.000.000
7 „—	1.890.000,	3 „—	81.000.000
8 „—	2.160.000,	4 „—	108.000.000
9 „—	2.430.000,	5 „—	135.000.000
10 „—	2.700.000,	6 „—	162.000.000
20 „—	5 400.000,	7 „—	189.000.000
30 „—	8.100.000,	8 „—	216.000.000
40 „—	10 800.000,	9 „—	243.000.000
50 „—	13.500.000,	1 ᲩᲔᲠ.	270.000.000

ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘ-ᲝᲜᲣᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ.

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის საკითხი ძველია. როგორც მსოფლიო ომის დაწყებამდე, ისე შემდეგაც არა ერთხელ აღძრულა ეს საკითხი, მაგრამ მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მან მიიღო რეალური განხორციელება. მთავრობის დახმარებით მუშაობა სწრაფად მიმდინარეობდა. ამჟამად გზა უკვე დამთავრებულია და ამ თვის 23-ს ოფიციალურად გაიხსნება. დიდი ხნის ოცნება სრნამდვილად გადაიქცა.

ოზურგეთის რკინის გზას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ადგილობრივ მოსახლეობისათვის, ისე საქართველოს ეკონომიურ განვითარებისათვის. რკინის გზის რაიონი თავისი კლიმატიური თვისებით მეტად ხელსაყრელია ძვირფას კულტურათა წარმოებისათვის, მაგალ., თამბაქო, ჩაი, ბამბუკი, მანდარინი და სხვ. ადგილობრივ მოსახლეობას, რკინის გზასთან დაახლოვების გამო, ეხლა სრული შესაძლებლობა ეძლევა მიატოვოს თავისი ტრადიციული სიმინდის მეურნეობას და წარმატებით მიჰყოს ხელი მაღალ კულტურათა წარმოებას იმ უტყუარი იმედით, რომ ძვირფას სამეურნეო საგანთა თვისება და რაოდენობაც ყოველივე კონკურენციას აიტანს.

საზოგადოთ ახალი რკინის გზის რაიონის მცენარეულობა თავის ფორმათა და სახეთა შერჩევით და მრავალფეროვნებით საუცხოვო სურათს წარმოადგენს და უფრო იაპონიას, ვიდრე სამხრეთ ევროპას, მიგვგზავსება.

ეკონომიური თვალსაზრისით რკინის გზის რაიონი წარმოადგენს სივრცეს—სიგრძით 50 ვ. და სიგანით—23 ვ., ე. ი. 1,116 კვ. ვერსს, რომლის საზღვრები არიან: დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით—ნიგოითის ქედი, აღმოსავლეთით და სამხრეთით—აჭარა-ახალციხის მთები და მდინ. კინტრაში. ეს რაიონი მტკიცედ განსაზღვრულია, რადგან ბუნებრივი ზღუდეებით არის გარემოცული. ამიტომ რკინის გზის სარგებლიანობისათვის საჭიროა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის გაფართოვება, რასაც უნდა მიეპყრას საგანგებო ყურადღება.

ადგილობრივმა გლეხკაცობამ კარგად შეიგნო რკინის გზის მნიშვნელობა, ამიტომ დიდის ხალისით ხელს უწყობდა გზის ადმინისტრაციას თავისი მუშაობით.

აღსანიშნავია, რომ ეს დიდი საქმე, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა, მანც მხოლოდ ერთ წელიწად ნახევარში დამთავრდა, რაც საესებით უნდა მიეწეროს გზის კომიტეტის და ცენტრ. აღმასკომის საგანგებო რწმუნებულის ამხ. სარჯველაძის ინიციატივას და მეცადინეობას.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲜᲘᲜᲡᲙᲝᲛᲘᲡᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

23 ნოემბერს ქ. ქუთაისში მოწვეული იყო დასავლეთ საქართველოს ფინანსპექტორების თათბირი, რომელიც გახსნა ა. | კ. ფინსახკომის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. გ. ვაშაძემ. თავის მისასალმებელ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ თათბირი მოწვეულია სპეციალურ საკითხების განსახილველად, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დასავლეთ საქართველოში წარმატებით ჩასატარებლად.

საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვის საგანს, ამბობს ამხ. ვაშაძე, შეადგენს მშრომელთა ინტერესების დაცვა და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემულ დეკრეტს გათვალისწინებული აქვს მრავალფეროვან გადასახადების სოფლად მოსპობა და დაწესება მხოლოდ ერთიან გადასახადისა, ჩვენ დავინახავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, დეკრეტის მტკიცე საფუძველზე გაწერილი, მისცემს მშრომელ ხალხს საშუალებას გაისტუმროს გადასახადი წელიწადში ერთხელ სრულიად უმტკივნეულოდ და ადვილათ.

დეკრეტით გათვალისწინებულია სხვადასხვა შეღავათები, მაგრამ შესაძლებელია წამოიჭრას ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ ახსნა-განმარტებებს გადასახადის განხორციელების პროცესში და თათბირმა უნდა გამოარკვიოს და გააშუქოს ეს საკითხები.

დასავლეთ საქართველოს ფინანსპექტორების სახელით ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულს მიესალმა შორაპნის მაზრის ფინანსპექტორი ვ. ჩხეიძე. ის აღნიშნავს, რომ 6 წელიწადია, რაც ფინანსპექტორებს არ მისცემიათ შემთხვევა ერთად შეკრებისა და საერთო საქმეზე ლაპარაკისა, რის გამოც იგნი მოწყვეტილნი იყვნენ როგორც ცენტრს, ისე ერთმანეთს. მაგრამ, მიუხედავათ ასეთი პირობებისა და მძიმე მატერიალურ მდგომარეობისა, რომელშიაც უხდებოდათ მუშაობა ფინანსპექტორებს, საქმე მაინც წარმატებით სრულდებოდა და არცერთხელ ამ აპარატს თავის მოვალეობისათვის არ უღალატნია. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ უანგარო მუშაობას მთავრობა სათანადო ყურადღებას მიაქცევს და იმ მატერიალურ სიდუხჭირეს, რომელშიაც ვიმყოფებით დღეს, მალე გაგვიუმჯობესებს. ჩვენ კარგათ გვესმის ჩვენი მოვალეობა, აზრი და მნიშვნელობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წესიერათ ჩატარებისა და არ დაგზოგავთ ენერგიას, რათა ის დიდი მოვალეობა, რომელიც გვაქვს დაკისრებული, პირნათლად შეეასრულოთ.

ა. მხ. ვაშაძე უპასუხებს ჩხეიძეს, რომ ფინანსპექტორების ყრილობები იქნება მოწვეული დროგამოშვებით და საქმის მსვლელობის მიხედვით; რაც შეეხება ინსპექტორების მატერიალურ მდგომარეობას, ეს საკითხი დასმულია პირველ რიგში, არა მარტო აქ, საქართველოში, არამედ რუსეთშიაც.

კრებამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხასიათი და მისი განსაკუთრებული ადგილი რესპუბლიკის სხვა პირდაპირ გადასახადთა შორის. მომხსენებელი ი. ჩიქოვანი.

2) დაწვრილებითი მიმოხილვა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აღმოსავლეთ საქართველოში გასატარებლად მიღებულ ზომებისა.—მომხსენებელი ი. ყველაშვილი.

3) მოხსენებები ადგილებიდან.

4) მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოსაკრეფად დროებითი სალაროების მოსაწყობი გეგმის შედგენა დასავლეთ საქართველოსათვის: ა) დასახელება უმთავრეს ეკონომიურ პუნქტებისა, სადაც უნდა მოეწყოს ასეთი სალაროები, ბ) შტატი სალაროებისა, გ) სალაროების მოსამსახურეთა მუშაობის პირობების გამორკვევა—მომხსენებელი ა. ბეზირგანიშვილი.

5) სალაროებში და ხაზინებში მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავლის ანგარიშის წარმოების წესი-რიგი.

6) ცალკე კითხვები, როგორც მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, ისე სხვა პირდაპირ გადასახადების შესახებ.

ღღის წესრიგის პირველ კითხვაზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ჩიქოვანი.

საქართველოს რესპუბლიკის 87 პროც. მისდევს სასოფლო მეურნეობას და მთავარი ჩვენი ყურადღება უნდა იქნას მიმართული, რომ ამ მშრომელ მასსას შეეეხოთ სათუთად, დაუახლოვდეთ მას და აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება.

როგორც რუსეთის, ისე საქართველოს გლეხკაცობას ძლიერ უძნელდებოდათ მრავალფეროვან გადასახადის გაღება და ალარ იცოდნენ, როგორ მოეგვარებინათ თავიანთი წლიური ბიუჯეტი. ახლად შემოღებული მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი კი ელასტიური და მოქნილია; იგი შეუშავებულია თანამედროვე ეკონომიური პირობების თვალსაზრისით და გლეხ გადამხდელს სიმწვავით არ ეხება. ამ ახალი გადასახადის შემოღებით მთავრობას განზრახული აქვს მოახდინოს ფულის კურსის სტაბილიზაცია და ემისიის შემცირება; ეს კი ხელსაყრელია გლეხებისთვის, რომელნიც ჰყიდიან თავიანთ სამეურნეო ნაწარმოებს ბაზარზე. ასეთ ცდას რუსეთში სამაგალითო შედეგები ჰქონდა; რუსეთის ფინსახკომის ამხ. სოკოლნიკოვის სიტყვით ა. წ. ნოემბრის 190 მილ. ბიუჯეტში ემისიის შეხვდა მხოლოდ 15 პროცენტი, რაც აიხსნება იმით, რომ საგადასახადო აპარატი რუსეთში კარგად არის მოწყობილი. დასასრულ ამხ. ჩიქოვანი მოუწოდებს რა ფინანსპექტორებს მხურვალე მუშაობისაკენ, გამოსთქვამს იმედს, რომ დასავლეთ საქართველოში სამეურნეო გადასახადი ჩაივლის წარმატებით.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ყველაშვილმა, რომელიც აცნობს თათბირს ფინსახკომის და რესპუბლიკის კომისიის მუშაობას სამეურნეო გადასახადის მსვლელობის დარგში. იგი აკეთებს მიმოხილვას სამეურნეო გადასახადის კამპანიის მსვლელობაზე აღმოსავლეთ საქართველოში და დასძენს, რომ ფინანსპექტორების მხნე, დაფღალავი მუშაობის მეოხებით სამეურნეო გადასახადი აკრებილია იქ საერთოდ 60 პროცენტამდე, ხოლო ზოგიერთ მაზრებში გადასახადი განაღდებულია 90 პროც.-ით.

ყველაშვილი შემდეგ აცნობს თათბირს დებულებას დროებითი სალაროების მოწყობაზე და ანგარიშის წარმოებაზე, რის შემდეგაც სხდომა იხურება.

შემდეგ მოსმენილი იქნა დასავლეთ საქართველოს ყველა ფინანსპექტორების მოხსენებანი. საგადასახადო უბნების ეკონომიური მდგომარეობა ფინანსპექტორების მოხსენებით საერთოდ დამაკმაყოფილებელია, გარდა ოზურგეთის, ზუგდიდის და რაჭის მაზრებისა. პირველში წყალდიდობამ და მცირე მოსავალმა ხალხი დააზიანა, მეორეში ცუდმა ამინდებმა და მოუსავლიანობამ მოსახლეობა მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩააყენა. ხოლო მესამეში დაბალ მოსავლიანობის და მიწის ნაკლულოვანების გამო ხალხს უხდება არსებობის წყაროს გარეთ ძებნა, როგორიც არის ქირაზე მუშაობა და სხვა. რაც შეეხება სამეურნეო გადასახადის საქმეს,—საორგანიზაციო მუშაობა ყველგან დასრულებულია და დეკემბრის პირველ ნახევარში გადამხდელთ დაეგზავნებათ ხარჯის ფურცლები.

ამხ. **ბეზირგანიშვილმა** გააცნო თათბირი ინსტრუქციებს, რომლებიც შეიხებიან დროებითი სალაროების მოწყობას, სახსასურკომის აპარატის ფინსახკომის განკარგულებაში გადმოსვლას, დროებითი სალაროების შტატებს და მოწვეულ თანამშრომელთა მუშაობის პირობებს. ჩამოთვლილ საკითხების ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მრავალ შეკითხვების და საპასუხო ახსნა-განმარტების შემდეგ თათბირმა დაადგინა: გახსნილი იქნას სალაროები შორაპნის მაზრაში 3—ხარაგოული, ჩხარი და საჩხერე; ქუთაისის მაზრაში 4—ხონი, სამტრედია, ბაღდადი და სვირი. სენაკის მ; 3—მარტვილი, ნოქალაქევი და აბაშა, ოზურგეთის მაზრაში 4—სუფსა, ლანჩხუთი, ჩოხატაური და ნაგომარი; რაჭის მაზრაში 1—ამბროლაური; ლეჩხუმის მაზრაში 1—ალპანა.

25 ნოემბრის სხდომაზე ამხ. ა. **ბეზირგანიშვილი** აცნობს თათბირს პროექტს ძირითად სასარეწაო გადასახადის ჩერვონცებზე გადატანის შესახებ. კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: თათბირი საჭიროდ სცნობს შესაფერ დროს შეტანილ იქნას შესწორებანი სასარეწაო გადასახადის დებულებაში იმ კორექტივით, რომ აკრძალულ იქნას ზოგიერთ საქონლით უბინაო ვაჭრობა ქალაქებში. უბინაო ვაჭრების აღნუსხვის მიზნით ფართედ გამოყენებული იქნას ცნობები რკინისგზისა და საბაჟოებისა, რომელთაც წინადადება მიეცეთ აღმოუჩინონ ფინანსპექტორებს ყოველმხრივი დახმარება.

ამავე სხდომაზე წაკითხული იქნა ცირკულიარი ფინანსპექტორებისადმი საშემოსავლო გადასახადის გატარების შესახებ, რომლის გარშემოც გაიმართა კამათი და დაისვა მრავალი კითხვები. ახსნა-განმარტების შემდეგ თათბირი გაეცნო საგადასახადო აპარატის რეორგანიზაციის ახალს კანონს და შტატს.

26 ნოემბერს თათბირი ისმენს ბათომის ოლქის ფინანსპექტორის, სადრაძის, მოხსენებას, რომელიც, უბნის მიმოხილვის შემდეგ აცხადებს, რომ აჭარისტანში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარმატებითი ჩატარებისათვის საჭიროა 5 სალაროს გახსნა, რაც კრების მიერ მიღებულ იქნა.

საბჭოთა სასამართლოში

გრინევ—გრიგორიოვის საქმე

13 დეკემბერს აღმასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში დაიწყო გრინევ გრიგორიოვის საქმის განხილვა. ახალგაზრდა გრინევ-გრიგორიოვს ბრალად ედება მთელი რიგი სიყალბეთა ჩადენა.

ბრალდებულმა გრინევმა მიითვისა ვეჭილთა კოლეგიის წევრის სახელწოდება, შეცდომაში შეიყვანა ქალთა განყოფილება და უკანასკნელთაგან მიიღო ნდობის ბარათი გამოსულიყო შრომის სასამართლოში მუსლიმან ქალთა საქმის (დასაცავად, გამოართვა მათ ვითომდა საქმის საწარმოებლად საკანცელარიო ხარჯებისათვის ოქრო და ბონები. რათა გაეიდოდეთა თავისი სამსახურის სტატი განათლების ცენზი, ბრალდებული ასწორებდა თავის დოკუმენტების თარიღებს და ადგენდა მათ ვეჭილთა კოლეგიაში. ბრალდებული ასწორებდა ოქროს აგრეთვე იმ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებდენ მის კომპარტიის წევრობას. საერთოდ ბრალდებულის უამრავი დოკუმენტები ამოფხეკილია და გადასწორებული.

თითქმის ყველა ბრალდებებში ბრალდებულმა ნაწილობრივად სცნო თავი დამნაშავედ. ამასთან ერთად ირკვევა, რომ უკრაინის კომპარტიიდან ბრალდებული ყოფილა გამორიცხული, მაგრამ იყო ებრაელთა კომპარტიის წევრი და ასეთ სახელწოდებასაც ატარებდა.

ბრალდებულის დაკითხვას სასამართლომ კარგა დიდი დრო მოანდომა.

სასამართლოს წინაშე წარმოსდგენ მრავალი მოწმეები—სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ყველგან დადიოდა ბრალდებული, ყველგან ასაღებდა ის თავს პასუხისგებელ მუშაკად, კომუნისტად, ვეჭილთა კოლეგიის წევრად, მაგრამ ვერსად ნდობათ ვერ სარგებლობდა, ვეჭილთა კოლეგიაში მას არ იღებენ იქ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ გრინევი უცნაური და დაუდეგარი კაცია. „ზარიად ვოსტოკა“-ს თანამშრომლობა მან ვერ მოახერხა, მისი ხელნაწერი არ არის დამაკმაყოფილებელი, მხოლოდ მუსლიმან ქალთა შორის გრინევმა მოახერხა თავისი საზოგადოებრივი კარიერის დაწყება, მაგრამ აქაც დამარცხდა.

მოწმეთა ჩვენებანი ახასიათებენ გრინევს, როგორც აჩრატებულ, არასერიოზულ ადამიანს. ზოგიერთ შემთხვევაში მას ანგარებით მიზანიც არ ჰქონია: გრინევისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სახელწოდებას და მდგომარეობას. მოწმეთა დაკითხვას დასჭირდა მთელი სადამოს სხდომა. 14 დეკემბერს დაიწყო მხარეების კამათი. „ბაიდანის ღვრიე წყალში გრინევი იჭერდა თევზებს“, ამბობს პროკურორი. „ბრალდებული არის მომავალი სმოლსკი და ნამდვილი ხლესტაკოვი“.

დამცველი ამირაღოვი უპასუხებდა ბრალმდებელს და უარყოფდა ბრალდებას ჯიბგირობაში და გრინევის მოქმედებას სთვლიდა ბავშვურ საქციელად და ბაქიობად. გრინევის პროლეტარული შთამომავლობა თანამედროვე, გარდამავალ ხანაში არსებულმა პირობებმა მისცეს მას საშუალება ეთამაშა დიდი ადამიანის როლი,—ამ პირობებმა გარყვნეს იგი, მაგრამ გრინევი არ არის გამოუსწორებელი დამნაშავე. ის ღირსია სასჯელის შემსუბუქებისა და ეს შემსუბუქება გამოასწორებს მისი ცხოვრების გახრილ ხაზს.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙ

ეუბნათა ცხოვრებიდან

რისთვის უყვართ მუშებს მუშათა ფაკულტეტი?

ორი წელიწადი შესრულდა მას აქეთ რაც ჩვენი მუშფაკი არსებობს. ამ ორ წელში დიდი ენერგია გამოიჩინეს ფაკულტეტის მსმენელმა მუშებმა.

შარშან ჩვენს მუშფაკში ორასზე მეტი მსმენელი იყო. შარშან ჩვენ დავაარსეთ რამოდენიმე წრე: სალიტერატურო, დრამატიული, სამხატვრო, სამუსიკო და სხვა. გამოუშვით ხელითნაწერი ჟურნალის ხუთი ნომერი, რომელიც სამსა მუშურ სულელასკვეიებით.

დრამატიულ წრემ გამართა რამოდენიმე მუშური საღამოები. სხვა წრეებმაც შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

საერთოდ შარშანდელი ჩვენი ნაბიჯი ცოდნისაკენ ფრიად დამაკმაყოფილებელია.

ამა წელს ჩვენი მუშფაკის სურათი კიდევ შეიცვალა. ჩვენში ხუთასზე მეტი მსმენელები ირიცხება. მდგომარეობაც გაუჯობესებულია შედარებით შარშანდელთან.

ეს იმას ამტკიცებს, რომ წყურვილი ცოდნის შეძენისა მუშათა კლასში უსაზღვროა.

წრეებმა ჩვეულებრივად განაახლეს თავიანთი მუშაობა. დრამატიულ წრემ კომკავშირის არსებობის აღსანიშნავად ფართე, ეუფასო საღამო მოაწყო. იყო მოხსენებები, დაიდგა წარმოდგენა და ფართე მუშურ დივერტისმენტით დამთავრდა.

სალიტერატურო წრე მაღე გამოსცემს ხელითნაწერი ჟურნალის მეექვსე და მეშვიდე ნომერს. **აგრეთვე დადგენილი გვაქვს გამოვსცეთ ოფიციალური ეუროსალი პერიოდიულად, რომლის** მიზანი იქნება დაანახოს ფართე საზოგადოებას და მშრომელთა მასას, **თუ რამდენად ეგუფება მუშათა კლასის გონება, ცოდნას,** მეცნიერებას.

მთავრობის ყურადღება ჩვენდამი მეტად დიდია, და ვამბობ შეძლებაზედაც მეტი.

ჩვენ ყოველგვარი დახმარება გვეძლევა და ეს დახმარება დღითი-დღე დიდდება, დარწმუნებულიც ვართ, რომ მდგომარეობა ყოველმხრივ გაუმჯობესდება, რამდენაც ეს საქმეა სწავლისათვის და ამ მხრივ ბოლო მოეღება იმ ეკონომიურ ნაკლებსაც, რაც ამ ეანდან არსებობს.

მუშათა ფაკულტეტი ეს იხეთი დაწესებულებაა, **სადაც თავს იყრიან პროლეტარიატის და ღარიბ გლეხების შვილები, სადაც მუშათა კლასი ეწოფება კომუნისტს, სადაც** მომზადებული **მუმათა რეზერვები გამოვლენ, რათა დაიპყრონ უმ-ღლესი სასწავლებელი.** ამიტომ ის ჩვენ გვიყვარს.

მუშფაკელი.

ეს ანტისანიტარული მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს

(ქალაქის აღმასკომის სანიტარულ განყ. საყურადღებოდ).

ვერის ხიდის ქვემოდ მტკვრის მარჯვენა კედ�როზე სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს პირდაპირ, სადაც საკმაოდ ფართე ეალაა, იყრება ახლო-მახლო უბნებიდან გაზიდული ნაგავი და სიბინძურე. ამ სიბინძურის დიდი წილი აქვე რჩება ეალაზე. ეს აიხსნება იმით, რომ არაა შესაფერი მოწყობილობა, როგორიცაა მაგალითად ნაგავის ღარი და სხვა ასეთები. ამის გამო აქ ძალიან ცუდია სანიტარული მდგომარეობა.

წყლის პირად დარჩენილ ნაგავში მახლობელი უღარიბესი მცხოვრებლები არჩევენ გადაყრილ აქა სხვა და სხვა ნივთების ნაჭრებს, ჩვრებს და სხვა. მასთან ეს უკანასკნელი სრულიად უდეზინფექციოდ ძალიან ხშირად იყიდება ფაბრიკა-ქარხნებზე მანქანების საწმენდად. ეს ხომ ანტისანიტარული მდგომარეობის შექმნაა თვით ფაბრიკა-ქარხნებში, რომელიც იქაურ მუშებს ემუქრება სხვადასხვაგვარ გადამდებ ავადმყოფობით.

იქ, სადაც ეს ნაგავი რჩება, მტკვრის პირად არის რამდენიმე ქარხანა-სახელოსნო. ნაგავის და სიბინძურის სუნით აშმორებულია ახლო-მახლო მიდამოები. ასეთი ანტიჰიგიენურ მდგომარეობაში არიან მახლობელ ქარხნის მუშები. ამით ისინი აღშფოთებულნი არიან.

საჭიროა, სანიტარულმა განყოფილებამ მიაქციოს ამას საჭირო ყურადღება. ამ ადგილზე საჭიროა ისეთი ღარის გაკეთება, რომელიც მოხერხებული გამტარებელი იქნება ყოველივე ნაგავისა და სიბინძურის. საჭიროა აგრეთვე აეკრძალოს კერძო მექარხნეების უდეზინფექციო ნივთების ყიდვა.

მუშკორი მ. ა.

„ქუჩა—ჯოჯოხეთი"

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

დიდი ხანია რაც დეკრეტი გამოვიდა სახლის პატრონნების მიერ ქუჩის ფარნების ჩამოკიდება-განათებაზე, მაგრამ ზოგ სახლის პატრონს ეს დეკრეტი არ შეუსრულებია და არც ფიქრობს ამაზე. თავის საქციელს ეს ვაუბატონები იმით ამართლებენ, რომ ვითომდა ქირას მდგმურები მათ არ აძლევდენ. მაგრამ ეს არაა მართალი. ქუჩები არასოდეს არ უნდა დარჩეს ბნელაში. მეტადრე ფალავნოვის ქუჩაზე, აქ ისე ბნელა ღამე, რომ კაცს ოითი რომ თვალში ატაკო ვერ დაგინახავს. სხვათა შორის აქ ტროტუარებიც დანგრეულია და სდგას წუმპეები, ამის კი არ აქცევს არავინ ყურადღებას. მუშების და ამხანაგების თხოვნით, ქალაქის აღმასკომმა უნდა აიძულოს სახლის პატრონები, რომ აანთონ თავიანთი ფარნები და გააკეთონ სახლის წინ დანგრეული ტროტუარები. ეს „ქუჩა-ჯოჯოხეთი", როგორც მას უწოდებენ ჩვენი მუშები უნდა იქნეს დაუყოვნებლივ შეკეთებული და განათებული.

კომკავშირელი ი. ჯ.

გერმანიის პროლეტარიატის სახელობის მუშათა კლუბში

ა. წ. 9 დეკემბერს ხსენებულ კლუბის ადგილზრივ დრამატიულ ქართულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნა პიესა **„ცამბარელი"**. ჩემდა სამედნიეროდ მე მომიხდა ამ საღამოს ზემოხსენებულ კლუბში შესვლა. ამ დღეს აქ, ფოიეში, უკრავდა ადგილზრივ № 1. ტყავეულობის ქარხნის სამხედრო მუსიკა. კლუბში დამსწრე მუშა-ამხანაგები კი მოუთმენლად ელოდნენ ფარდის ახდას. მუსიკამ მოათავა დაკვრა. გაისმა მუშათა შორის ტაშის კვრა, მაგრამ ფარდას აწევა არ ეღირსა. დრო გადის და დამსწრე მუშებში ყოყმანი ისმის ცხრა საათი შესრულდა მეათე იწყება, მაგრამ პიესის დადგმას საზოგადოება მაინც არ ეღირსა რა. მოისმა მეუხარე ტაში, ამას მოჰყვა მუსიკა, რომ აღელვებული ამხანაგები დაწყნარებულიყვნენ. მუსიკამ ხელმეორედ მოათავა ნომერი. ამის შემდეგ სცენის ფარდამაც იწყო აწევა, თითქოს მანაც იგრძნო დიდი ხნის ლოდინის გამო დაღლილობა.

გაიმართა წარმოდგენა, მაგრამ მასაც მოუმზადებლობა ეტყობოდა და მასთან ერთად ზოგიერთი მომმედნი პირნი არ იყვნენ თავთავიანთ როლებში, რასაც თვითონაც გრძნობდნენ. ყოველივე ეს მიეწერება კულტ-კომისიის სისუსტეს. მან უნდა შესძლოს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა განთავისუფლება სამუშაოდან 2 საათით ადრე, რომ მათ შესძლონ უყოყმანოდ ძალების გამოცდა და პიესის მომზადება. გარდა ამისა საჭიროა ყოველივე წარმოდგენები იმართებოდეს თავის დროზე, რომ დამსწრე მუშებმა შესძლონ მეორე დღეს სამუშაოზე დროზე გამოცხადება. ამასთან ერთად საჭიროა სცენის ფარდის შეკეთება, რომ მისი აწევა-დაწევა არ გაუძნელდეს მაზე მომუშავეს. საჭიროა აგრეთვე წესრიგის დაცვა თვით კლუბის დარბაზში პიესის სვლის დროს, რომ შეეძლოთ დამსწრე ამხანაგებს წარმოდგენის მოსმენა.

მუშკორი გ. მ—შვილი.

მუშათა ქრონიკა.

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

მე-4 რაიონის შრომის ინსპექტორმა 13 დეკემბერს ოქმი შეუყენა წისქვილის „ხაზეინებს" ამხანაგობა „ბაიდარგა"-ს თავის მუშებისათვის შრომის პირობების დარღვევისათვის.

—

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება სახლის პატრონს, ან მოიჯარადრეს მოსთხოვოს ცალკე ბინის ქირის ზევით, მის სახლში მცხოვრებ მუშამოსამსახურეთ მეეზოვის შესანახი, საერთო კიბის და ფეხისადგილების განათების ფული?

პასუხი: ამის უფლება არა აქვს არც ერთს სახლის პატრონს და მოიჯარადრეს, თუნდაც ეს უკანასკნელი საბჭოთა დაწესებულების, ან და საბინაო კოოპერატივის წარმომდგენელიც (კომენდატიც) იყოს. მეეზოვეს შრომის ხელფასი ეძლევა საბინაო ქირის საერთო ჯამიდან ამ პროფესიის მუშაკთათვის სატარიფო ქსელით განსაზღვრული რაოდენობით. მასთან საერთო კიბეების და საერთო ფეხისადგილების განათების ხარჯები უნდა დაიფაროს ბინის ქირიდანვე.

კითხვა: რა რაოდენობით უნდა გადაიხადონ ბინის ქირა იმ მუშამოსამსახურეებმა, რომელნიც სცხოვრობენ ერთ და იგივე ბინაზე და ეკუთვნიან ერთ და იგივე ოჯახს, ღებულობენ საშვილს ერთი ქვაბიდან, განუყოფელნი არიან ხარჯებშიც და შემოსავალში (მაგ. ცოლ-ქმარნი, მამა და შვილები, მზრუნველი და ობოლი, და ძმა და სხვა) და იღებენ შრომის ხელფასს სხვადასხვა რაოდენობით.

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევებში ბინის ქირას იხდის ოჯახის მაღალ ჯამაგირიანი წევრი მისივე ჯამაგირის ჯამის და საცხოვრებელ ბინის კვადრატურის მიხედვით.

კითხვა: რა რაოდენობით იხდიან მინის ქირას ერთსავე ბინაზე, ან ოთახში—ერთად მცხოვრები, (არა ერთი ოჯახის წევრები) მუშა-მოსამსახურენი?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევებში თითოეულმა მათგანმა ბინის ქირა უნდა გადაიხადოს ცალ-ცალკე და თანაბრად მის მიერ დაკავებულ ბინის კვადრატურის და შრომის ხელფასის სატარიფო განაკვეთისა. მათ მიერ დაჭერილი ბინის სივრცე უნდა გაიყვეს იქა მცხოვრებლების რაოდენობაზე კანონიერად.

თელავის დამზღვევ კასის მუშაობა

დამზღვევ კასის მუშაობა თანდათანობით ფართოვდება, რის გამო ის დიდად ეპიკლიარულ და სასურველ დაწესებულებად ხდება მუშა-მოსამსახურეთა წრეებში.

გამგეობას მიმდინარე წელში ჰქონებია 52 სხდომა, რომელზედაც გარჩეულა 160 მნიშვნელოვანი საკითხი. მუშაობის დამაბრკოლებელი ფაქტორია ზოგიერთ ცენტრალურ დაწესებულებებისაგან ანარიცხის შემოუტანლობის, მაგალითად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ აგრონომიზმარების და მამულების (წინანდალი, ნაფარეული) მუშა-მოსამსახურეებისა, ამავე დროს კი ესენი დახმარებით (წამლით, ექიმით და სხვა) სარგებლობდენ. ასეთი ვალების წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები.

1 იანვრიდან კასის სალაროში შემოსულა სხვადასხვა დაწესებულებიდან 29 663.000.000 მანეთი. ამავე ბნის განმავლობაში გასულა კასიდან 27.148 000.000 მანეთი. ნაშთი 2 515.000.000 მანეთი.

კასიდან გასული თანხა, 27.148.000.000 მანეთი, ნაწილდება შემდეგნაირად:

გაეცემულია 1) მშობიარობის გამო 1.376.000.000 მან., 2) ბავშვების გამოსაკვებათ—1.730.000.000 მანეთი, 3) სიკვდილის გამო—610.000.000 მ. 4) შრომის ინვ. 639.000.000 მანეთი 5) პენსიები—700.000.000 მან., 6) უმუშევრებს—1.540.000.000 მ. და 7) დრ შრომის უნარმოკლებულთ—3.124.000 მ.

კასამ იმუშავა სამაზრო პროფბიურო და აღმასკომთან კონტაქტში, ყველა ოქმები თავის დროზე გადაეგზავნა ცენტრში, რომელთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი.

ახალ გამგეობაში არჩეულ იყვნენ შემდეგი ამხანაგები: 1) პაატაშვილი ვანო, 2) ჭრელაშვილი ლადო, 3) ცინცაძე თამარა, 4) თურქელთანშვილი ნინა და 5) სახეევი შაქრო, კანდიდატები: 1) მდივნიშვილი კოსტა, 2) იაგორიშვილი იოსტინე, 3) სვანიძე პეტრე. სარევიზიო კომისიაში: 1) შიუკაშვილი ვანო, 2) თენეიშვილი სოფიო და 3) კაკაბაძე მიხეილ.

ადმინისტრატორი.

პროფესიებიდან

ქ. ფოთი

ერთ კვირაზე მეტია, რაც ფოთში ქრის აღმოსავლეთის (ზენა) ქარი. სიძლიერე ისეთია, რომ მთელი ხის ღობეები დაფინა, სახლებს სახურავი ააცალა და ბევრი ხის სახლები კი სულ დაანგრია, ელექტრონის სადგურის მუშაობა შეაჩერა და ქალაქი ფსანთალოდ არის. ტელეფონის მავთულები დაგლეჯა და მისი შესწორება მოითხოვს დიდ დროს. ქუჩაში გავლაც ძნელია, ქარი არ გაძლევს სიარულის საშუალებას. ზარალი ძლიერ დიდია.

ყველაზედ მეტი უბედურება კი გამოიხატება შემდეგში: ფოთს თითქმის ყოველმხრივ აკრავს წყლები და მდინარე რიონი კი ჰყოფს მას სამ ნაწილად—ქალაქის ცენტრი, დიდი კუნძული და ნავთსადგურის ტერიტორია.

რიონის ჩრდილოეთის შტო ქარის დროს იფართოებს კალაპოტს და მოაქვს დიდი კუნძულის მიწა. ამას უწყობს ხელს მიწის რბილი ნიადაგი ასე რომ, ნაპირები ფართოვდება და თანდათან მოსახლეობას ჰყრის. ეხლაც უკვე მიმართეს აღმასკომს რამოდენიმე ოჯახმა, თუ როგორ მოიქცენ, რადგანაც სულ მოკლე დროში მათ სახლებს წალეკავს მდინარე. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ რამოდენიმე წელში მთელ დიდ კუნძულს დაფარავს წყალი, სადაც რამოდენიმე ათასი მცხოვრებლებია, სადაც ცხოვრობენ თითქმის ყველა გადამტვირთელთა კავშირის მუშები. საჭიროა სასწრაფო ზომები რიონის ნაპირების გასამაგრებლად.

ამ საკითხის გამო აღმასკომის და ნავთსადგურის მმართველობის მიერ გასულ ზაფხულში გამოწვეულნი იყვნენ სპეციალისტები, რომლებმაც ორ თვეზე მეტი იმუშავეს, გაეცვნენ მდებარეობას და ყოველივე მასალები წაიღეს თბილისში გეგმის შესამუშავებლად, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ არის. მდინარე კი ემუქრება წალეკით სახელოსნო სკოლის შენობასაც. ნაპირების გამაგრება მოითხოვს ძლიერ დიდ ხარჯებს, ამის საშვალება კი ადგილობრივ აღმასკომს არ აქვს; აქ საჭიროა მთავრობის ფართე დახმარება.

თუ რომ დიდი კუნძული დარჩება ასეთ მდგომარეობაში, როგორც ზევით ვთქვით, მოსალოდნელია მისი წალეკა და მაშინ ქალაქი და ნავთსადგური მოწყდება ერთი მეორეს.

ერთ ერთ მიზეზთაგანი წყალდიდობისა ფოთში და ძლიერი ქარისა არის ტყეების გაჩეხა ქალაქის ირგვლივ. ამ გარემოებას მიაქცია ქალაქის საბჭომ ყურადღება და თავის სხდომაზე 7 დეკემბერს დაადგინა: წინადადება მიეცეს აღმასკომს მიიღოს სასტიკი ზომები ტყეების დასაცავად და ამავე დროს ახალი ტყის გაშენებისათვის; ეთხოვოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილებას, რათა მიაქციოს განყოფილება ქალაქის ირგვლივ სახეიმწყობო ტყეების გაჩეხას და აგრეთვე ახალი ტყის გაშენების საქმეს.

იმედია, სატყეო განყოფილება მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას

დასასრულ, კიდევ უნდა ვსთქვათ, რომ საჭიროა ძლიერ სწრაფი ზომები მიღება ნაპირების გამაგრებაში და მთავრობის ფართე დახმარება ამ საქმეში. ადგილობრივი ხელისუფლება კი მიიღებს ყოველივე ზომებს მის დასაჩქარებლად.

ჯ. მეგრელიშვილი.

ბურია

ერთი ღირსშესანიშნავი საქმე ამ დღეებში ბრწყინვალეთ დაგვირგვინდა; ოზურგეთ-ნატანების რკინისგზა დასრულებულია და ამ დღეებში გურიის შრომელი ხალხი იდღესასწაულებს მისი საზეიმო გახსნას. ძლიერ დიდი ენერგია დახარჯა გურიის მშრომელმა ხალხმა ამ საქმეზე. ადგილობრივი ხელისუფლებამ და ცენტრალურმა მთავრობამ ყოველი ღონე იხმარეს, რათა ბოლომდე მიეყვანათ ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების ერთი უმთავრესი პირობის—რკინისგზის გაყვანა.

ამა ე დროს მაზრაში არ შეწყვეტილა ეა, პირიქით, ინტენსიურათ სწარმოებდა სხვა აქეს,ენებლობითი მუშაობა. შარშანდელი წლის დიდმა წყალდიდობამ გურიის მშრომელ ხალხს აუწერელი ზარალი მიაყენა, მდ. სუფსამ, ნატანებმა და ბუუტის წყლებმა რამოდენიმე ათეული ჭალაკაცს სახლკარი დაანგრია და გაიტანეს. ასეთ კარგი ნაყოფი გამოიღო. სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ბაკბეუკ-მელიქოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ გამგეობის მუშაობაში არავითარი დეფექტი არ არის აღმოჩენილი.

საზოგადო კრებამ კლუბის მუშაობა სცნო სავსებით დამაკმაყოფილებლათ. შემდეგ კრებამ მოისმინა ახალი წესდება, მუხლობრივ განხილვის შემდეგ წესდება ყველა შენიშვნებით მიღებულ და დამტკიცებულ იქნა. საწევრო გადასახადი დაწესდა შემდეგნაირათ:

ერთდროული—კლუბის წევრთათვის 30 ჩერვ. კაპ., ქარხანა—სახელოსნოების ახალგაზრდობისათვის—20 ჩერ. კაპ., საწევრო 20 კაპ.

ხამკითხველოში: კლუბის წევრთათვის—5 ჩერვ. კაპ. კავშირის წევრთათვის 8 კაპ., მოწფეთათის და წითელარმიელთათვის 5 კაპ., უმუშევართათვის და ინვალიდებისათვის უფასო, საწინდარის შემოტანით.

კლუბის მომავალ მუშაობის გეგმა კრებას გააცნო ამხ. ჭელიძემ. მ. ც. კლუბის გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ. ი. ჭელიძე, მაშკევიჩი, კოგანი, სარიანი გ. ვარდოიანი, კიკნაძე, ეროევი, ი. ელიავშვილი, ქართველიშვილი, მელაძე, ბრომიკერი.

კანდიდატებათა: მზარეულიშვილი და გაგნიძე, სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. მასხულია, ბაბეუკ-მელიქოვი, და ვედიორკო.

მუშკორი მელითონე.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

13 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატურა. (ცელსიუსი): სოხუმში... 7 გრ., ფოთში.... 7 გრ., ბათომში... 9 გ., სამტრედიაში.... 6 გრ., ... ბორჯომში.... 1 გრ., სურამში... 2 გრ., ტფილისში.... 0 გრ., ერევანში..., 2 გრ., ბაქოში.... 5 გრ., (ქუთაისიდან, აჯამეთიდან, ჭიათურიდან, წიფიდან და მუკუზანიდან ცნობები არ არის მიღებული).

ღრუბლიანობა: სულ მცირე სურამში, მნიშვნელოვანი ბათომში და სოხუმში, დანარჩენ ადგილებში—სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთ — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი; სამტრედიაში—ჩრდილოეთ—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, გრიგალი. ბაქოში — ჩრდილოეთ-ჩრდილოეთ-დასავლეთის, ნელი: დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

ნალექი: მნიშვნელოვანი ბათომში; ნელი წვიმა ფოთში, ...